IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამებზე

მიღების მოთხოვნები და შეფასების სქემა

2025

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა აპლიკანტებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს:

- ფინანსების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა
- ფინანსების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა
- მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა
- მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის ძირითადი მოთხოვნები:

აპლიკანტს, რომელსაც სურს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა:

- უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მან ასევე უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება;
- მან ასევე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენცია.

გაითვალისწინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება პროგრამაზე შერჩევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, **აპლიკანტების შერჩევა და პროგრამაზე ჩარიცხვა შიდასაუნივერსიტეტო ქულების რანჟირებით მოხდება.**

შიდასაუნივერსიტეტო შეფასების ეტაპი მოიცავს ტესტირებას ინგლისურ ენაში[1], გასაუბრებას აპლიკანტთან [2] და აპლიკანტის რეზიუმეს შეფასებას.

გასაუბრებას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარმართავს. გასაუბრებაზე შემოწმდება აპლიკანტის კომპეტენცია 4 საკვანძო კრიტერიუმის მიხედვით. მიმღები კომისიის მიერ ასევე შეფასდება აპლიკანტის პროფესიული და საგანმანათლებლო გამოცდილება (რეზიუმე).

შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებისა და რეზიუმეს შეფასება შემდეგნაირად ნაწილდება:

- შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება - 60%
- რეზიუმე - 40%

გაითვალისწინეთ, ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარება სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა და გამოცდაზე მიღებული შეფასება არ მონაწილეობს აპლიკანტის რეიტინგში შეფასების სახით.

---

[1] ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, ვინც ენის ფლობას ადასტურებს საერთაშორისო სერტიფიკატით ან დიპლომის დანართში მითითებული ინგლისური ენის კურსით B2.

[2] ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების აპლიკანტებთან გასაუბრება ჩატარდება ინგლისურ ენაზე.

აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების ფარგლებში

	კრიტერიუმი	**მაქს. ქულა**
1	**ბიზნესის ადმინისტრირების საკვანძო საკითხებზე მსჯელობა** კრიტერიუმით შეფასდება, შეუძლია თუ არა აპლიკანტს ბიზნესის ადმინისტრირების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გააზრებულად გამოყენება. აგრეთვე, რამდენად იცნობს სფეროში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებს. კრიტერიუმის ფარგლებში ასევე ფასდება, თუ რამდენად შეუძლია აპლიკანტს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კონკრეტული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი კრიტიკული შეფასება.	**30**
2	**აკადემიური მიზნებისა და ინტერესების სიცხადე** კრიტერიუმით შეფასდება, რამდენად აქვს აპლიკანტს გააზრებული საკუთარი არჩევანი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარებასთან დაკავშირებით. აპლიკანტები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეუძლიათ, დაინახონ საკუთარი როლი ბიზნესის დღის წესრიგში და იპოვონ ისეთი თემატური არეალები, რომლებშიც საკუთარი კონტრიბუციის შეტანას შეძლებენ.	**30**
3	**აკადემიური ინტერესების პროგრამის სპეციფიკასთან თანხვედრა** კრიტერიუმით შეფასდება, რამდენად იცნობს და თანხვედრაშია აპლიკანტის აკადემიური ინტერესები ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების სპეციფიკასთან. კერძოდ, შეუძლია თუ არა პროგრამას აპლიკანტის აკადემიური/კვლევითი ინტერესების დაკმაყოფილება. აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში შეფასების წყაროა აპლიკანტის დასაბუთებული და მკაფიო მსჯელობა აკადემიური და კვლევითი ინტერესების შესახებ.	**20**
4	**კომუნიკაციის უნარი** კრიტერიუმით შეფასდება, რამდენად შეუძლია აპლიკანტის ცოდნის, არგუმენტების და საკუთარი მოსაზრებების თანმიმდევრულად, მკაფიოდ, ლოგიკურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბება.	**20**
-	**ქულების მაქსიმალური რაოდენობა**	**100**
-	**მინიმალური კომპეტენციის ზღვარი**	**51**
შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების შეფასების დეტალური რუბრიკა იხილეთ დანართის სახით, ბოლო გვერდზე.		

რეზიუმეს შეფასების კრიტერიუმები

რეზიუმეს შეფასებისას, ყურადღება გამახვილებული იქნება აპლიკანტის **განათლებასა** და **სამუშაო გამოცდილებაზე**.

გაითვალისწინეთ, რეზიუმეში მითითებული ინფორმაცია არ იქნება შეფასებული იმ შემთხვევაში თუ არ იქნება თანდართული შესაბამისი დოკუმენტაცია:

- დიპლომის საშუალო ნიშანი (GPA) და GPA-ს გამოთვლის წესის დამადასტურებელი დოკუმენტი (GPA-ს მინიმალური და მაქსიმალური ქულა) ან დიპლომის ქულების საშუალო არითმეტიკული;
- სამუშაო გამოცდილებისა და სტაჟის ამსახველი ცნობა სამუშაო ადგილიდან;
- გაცვლით პროგრამაში, სასწავლო ტრენინგში, სემინარში, კონფერენციასა და სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

რეზიუმე ფასდება სარეიტინგო ქულის მიხედვით. **მაქსიმალური სარეიტინგო ქულაა - 100 ქულა** (70 - განათლება; 30 - სამუშაო გამოცდილება).

განათლება - სარეიტინგო ქულა - მაქს. 70 ქულა		
	ბიზნესის/ეკონომიკის სფერო;	**სხვა სფერო**
საქართველოში მიღებული აკადემიური ხარისხი*	15 ქულა	11.25 ქულა
გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უცხოურ უსდ-ში მინიმუმ ერთი სრული სემესტრით სწავლა / საქართველოს საზღვრებს გარეთ აკადემიური ხარისხის მიღება	10 ქულა	-
დიპლომის საშუალო ნიშანი(GPA) - კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის შეფასება	0 და 30 ქულა *დიპლომის საშუალო ნიშნის შეფასების მინიმალური და მაქსიმალურ მნიშვნელობასთან პროპორციულად*	0 დან 22.5 ქულა *დიპლომის საშუალო ნიშნის შეფასების მინიმალური და მაქსიმალურ მნიშვნელობასთან პროპორციულად*
სემინარში ან სასწავლო ტრენინგში მონაწილეობა	5 ქულა	3.75 ქულა
კონფერენციაში მონაწილეობა	5 ქულა	3.75 ქულა
სამეცნიერო პუბლიკაცია	5 ქულა	3.75 ქულა
იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს საქართველოში მიღებული აკადემიური ხარისხი და წარმოადგენს საქართველოს საზღვრებს გარეთ მიღებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (დიპლომს და მის აღიარებას), აღნიშნული კრიტერიუმის ფარგლებში მიენიჭება **15 ან ***11.25 ქულა*** (ნასწავლი დისციპლინის შესაბამისად).*		

სამუშაო გამოცდილება- სარეიტინგო ქულა - მაქს. 30 ქულა			
		ბიზნესის/ეკონომიკის სფერო;	**სხვა სფერო**
სამუშაო გამოცდილება	**2 წელი ან მეტი***	30 ქულა	22.5 ქულა
	1 წელზე მეტი და 2 წელზე ნაკლები	20 ქულა	15 ქულა
	1 წელი ან ნაკლები/სამუშაო სტაჟირება/გამოცდილება	10 ქულა	7.5 ქულა
**თუ კანდიდატს აქვს 2 წელი ან მეტი სამუშაო გამოცდილება და სამუშაო სტაჟირება, მას მიენიჭება მაქსიმუმ 30 ქულა.*			

ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დადასტურება

ყველა აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდა, რომლითაც დაადასტურებს ინგლისური ენის ფლობას CEFR-B2 ან უფრო მაღალ დონეზე.

აპლიკანტი, რომელსაც აქვს ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი, თავისუფლდება ენის გამოცდის ჩაბარებისგან. ასევე, ის კანდიდატი, რომელმაც დაამთავრა ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამა, თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიიღება ენის ფლობის დამადასტურებელი შემდეგი სერტიფიკატები:

- Cambridge English Scale – 160;
- IELTS – Bands 5.5;
- FCE, BEC Vantage, ILEC - Pass with B2;
- Aptis Test -140;
- TOEFL iBT 72;
- Global Scale of English - 59;
- Pearson tests: PTE – 51;
- EF SET – 51;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - **Certus;**
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, სადაც მითითებული იქნება, რომ სწავლების ენა იყო ინგლისური.

ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, ვინც ენის ფლობას ადასტურებს საერთაშორისო სერტიფიკატით ან დიპლომის დანართში მითითებული ინგლისური ენის კურსით B2.

წარმატებებს გისურვებთ!

დანართი:

შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების შეფასების დეტალური რუბრიკა

ბიზნესის ადმინისტრირების აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა (30 ქულა)			
	0-3	**4-6**	**7-10**
ტერმინებისა და კონცეფციების მიზნობრივი გამოყენება	აპლიკანტს უჭირს დარგისათვის სპეციფიკური ტერმინოლოგიის გაგება/გამოყენება.	აპლიკანტს მეტწილად შეუძლია დარგისათვის სპეციფიკური ტერმინოლოგიის გაგება/გამოყენება.	აპლიკანტს შეუძლია დარგისათვის სპეციფიკური ტერმინოლოგიის სწორად გაგება და მიზნობრივი გამოყენება.
	0-3	**4-6**	**7-10**
დარგის სიახლეების და ტენდენციების ცოდნა	აპლიკანტი არ იცნობს დარგის სიახლეებს/არ აქვს წარმოდგენა მისი ძირითადი გამოწვევების შესახებ.	აპლიკანტს მეტწილად შეუძლია დარგის სიახლეებისა და გამოწვევების შესახებ იმსჯელოს, მსჯელობა ზოგადია.	აპლიკანტს საფუძვლიანად ესმის დარგის სიახლეები და აქვს უნარი მისი გამოწვევების იდენტიფიცირების.
	0-3	**4-6**	**7-10**
კრიტიკული ანალიზის უნარი	აპლიკანტს არ შეუძლია დარგში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზი და რეფლექსია.	აპლიკანტი ცდილობს დარგში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზს, თუმცა ნაკლებად სიღრმისეულად.	სიახლეებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების გარდა, აპლიკანტი ამჟღავნებს უნარს, კრიტიკულად გაანალიზოს ისინი და დაინახოს პროცესები როგორც ერთეულ, ისე სისტემურ დონეზე.

აკადემიური მიზნებისა და ინტერესების სიცხადე (30 ქულა)			
	0-5	**6-10**	**11-15**
პროგრამაზე ჩაბარების ინტერესი	აპლიკანტი ვერ ასახელებს კონკრეტულ მიზანს, თუ რატომ გადაწყვიტა მოცემულ პროგრამაზე ჩაბარება.	აპლიკანტს აქვს ზოგადი ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტა პროგრამაზე ჩაბარება.	აპლიკანტი ასახელებს ზუსტ და კონკრეტულ მიზანს იმისა, თუ რატომ სურს მოცემულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.
აპლიკანტის ხედვა სფეროში მის როლზე	აპლიკანტს არ აქვს გამოკვეთილი ინტერესი დარგის მიმართ/არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სფეროში მის როლზე.	აპლიკანტს აქვს ზოგადი ინტერესი დარგის მიმართ, მისი ხედვა სფეროში საკუთარ როლზე არის ბუნდოვანი ან/და ზედაპირული.	აპლიკანტს აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული ინტერესი დარგის/მისი რომელიმე კონკრტული მიმართულების მიმართ და ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო ხედვა სფეროში საკუთარ როლზე.

პროგრამის სპეციფიკასთან თანხვედრა (20 ქულა)			
	0-6	**7-14**	**15-20**
აკადემიური/ კვლევითი ინტერესების თანხვედრა	აპლიკანტის აკადემიური/კვლევითი ინტერესები არაა თანხვედრაში პროგრამასთან.	აპლიკანტის აკადემიური/კვლევითი ინტერესები ნაწილობრივ თანხვედრაშია პროგრამასთან.	პროგრამას შეუძლია აპლიკანტის აკადემიური და კვლევითი ინტერესების დაკმაყოფილება.

კომუნიკაციის უნარი (20 ქულა)			
	0-3	**4-7**	**8-10**
ლოგიკური მსჯელობა	აპლიკანტს არ შეუძლია სათქმელის მკაფიოდ და სტრუქტურირებულად გადმოცემა.	აპლიკანტს ნაწილობრივ შეუძლია სათქმელის მკაფიოდ და სტრუქტურირებულად გადმოცემა.	აპლიკანტს შეუძლია სათქმელის მკაფიოდ და სტრუქტურირებულად გადმოცემა.
პროექტის განხორციელების ენის კომპეტენცია	მსჯელობა ენობრივად გაუმართავია.	მსჯელობა ენობრივად ნაწილობრივ გამართულია.	მსჯელობა ენობრივად გამართულია.